სკოლებში ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ბულინგის პრევენცია

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | GEORGIA

EAST·WEST MANAGEMENT INSTITUTE

სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა
და მოქალაქეების ჩართულობის პროექტი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY
FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

PHR
პარტნიორობა
ადამიანის
უფლებებისთვის

პროექტი ხორციელდება ა/ო „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში.ბროშურის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია ა/ო „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ის შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან/და EWMI-ს შეხედულებებს.

ბროშურის ავტორი:
ნანა აბაშიძე, ქეთევან კოპალიანი, ქეთევან კალანდაძე.

2019 წ.

საინფორმაციო ბუკლეტი განკუთვნილია სკოლის მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის, მშობლებისთვის, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვისა და ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ბულინგის პრევენციის მეთოდოლოგიური საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის. საინფორმაციო ბუკლეტის მიზანია - ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ბულინგის პრევენციის მექანიზმების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ბულინგის ფორმების შესახებ, ასევე, უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებებისა და ანტიბულინგური ალგორითმის შესახებ.

ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ბულინგის პრევენციის თანამედროვე მეთოდოლოგია

ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის პრევენციის მიზნით, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის, UNICEF-ის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა ერთობლივი მუშაობის საფუძველზე, ჩამოყალიბდა მტკიცებულებებზე დაფუძნებული 7-საფეხუროვანი სტრატეგია - INSPIRE. სტრატეგიის სტანდარტებისა და ფუნდამენტური პრინციპების შესაბამისად, ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრისა და პრევენციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს, სასკოლო დაწესებულებების, არასამთავრობო სექტორისა და სხვა პასუხისმგებელი პირების ერთობლივ, კოორდინირებულ მუშაობას ქვემოთ მოცემული 7-ვე მიმართულებით.

კანონმდებლობა და აღსრულება
Implementation and enforcement of laws

ნორმები და ღირებულებები
Norms and values

უსაფრთხო გარემო
Safe environments

მშობლებისა და მზრუნველების მხარდაჭერა
Parent and caregiver support

შემოსავალი და ეკონომიკური გაძლიერება
Income and economic strengthening

რეაგირება და მხარდამჭერი მომსახურებები
Response and support services

განათლება და სასიცოცხლო უნარები
Education and life skills

1.ბავშვის მიმართ ძალადობა

განმარტება

ბავშვის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით, მიუხედავად იმისა, ეს ქმედება განხორციელდა/ხორციელდება წინასწარი განზრახვით ან/და განზრახვის გარეშე.

1.1.ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმები

ფიზიკური ძალადობა

ბავშვის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ფიზიკური დასჯით, ცემით, წამებით, ჯანმრთელობის დაზიანებით, თავისუფლების უკანონო აღკვეთით და სხვა.
მაგალითად: ბავშვისთვის თავში ხელის წამორტყმა; ყურის აწევა; ოთახში ჩაკეტვა, პანღურის ამორტყმა და ა.შ.

ფსიქოლოგიური ძალადობა

გულისხმობს შეურაცხყოფას, შანტაჟს, დამცირებას, მუქარას, რომელიც იწვევს არასრულწლოვანის პატივისა და ღირსების შელახვას, ან მის დაშინებას.
მაგალითად: ბავშვის დამამცირებელი ზედმეტსახელებით მოხსენიება; ბავშვის მიზანმიმართულად მოქცევა სოციალურ იზოლაციაში, როცა მას არ ელაპარაკებიან, არ ამჩნევენ და ა.შ.

სექსუალური ძალადობა

სქესობრივი კავშირი ან სექსუალური შინაარსის ნებისმიერი ქმედება ძალადობით ან მუქარით. 16 წლამდე ბავშვთან, სრულწლოვანის მიერ სექსუალური კავშირის დამყარება, თუნდაც ძალადობის გარეშე ან/და ბავშვის თანხმობით.

მაგალითად: სექსუალური შინაარსის კომენტარები; სექსუალური დევნა და შევიწროება; ბავშვთან ნებისმიერი სახის ფიზიკური კონტაქტი, რომელიც სექსუალური შინაარსის მატარებელია და ა.შ.

უგულებელყოფა

უგულებელყოფა არის არასრულწლოვანის საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა მშობლების ან სხვა პასუხისმგებელი პირების მიერ.

მაგალითად: არასრულწლოვანს არ ეძლევა განათლების მიღების უფლება, სამედიცინო დახმარების მიღების საშუალება და სხვა.

იძულება

იძულებას ადგილი ექნება მაშინ, თუ არასრულწლოვანს აიძულებენ შეასრულოს ან არ შეასრულოს იმგვარი ქმედება, რაც მის უფლებას წარმოადგენს.

მაგალითად: იძულება შეიძლება იყოს იძულებითი ქორწინება, შრომით საქმიანობაში იძულებითი ჩართვა. ამ დროს არასრულწლოვანს ეზღუდება სხვადასხვა უფლებები, როგორიცაა - განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლებები.

ეკონომიკური ძალადობა

ბავშვის მიმართ განხორციელებული ეკონომიკური ძალადობა გულისხმობს იმ შემთხვევას, როდესაც ბავშვს განზრახ უზღუდავენ საკვებს, საცხოვრებელ ადგილს ან/და მისი განვითარებისთვის საჭირო სხვა პირობებს.

1.1.ბავშვის მიმართ ძალადობაზე რეაგირების სამართლებრივი მექანიზმები

სკოლის დისციპლინური კომიტეტი

მოსწავლის მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში სკოლას აქვს ვალდებულება დაუყოვნებლად მოახდინოს რეაგირება. სკოლის დისციპლინური კომიტეტი განიხილავს მომხდარი ძალადობის ფაქტს და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრავს დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეს განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით.

მანდატურის სამსახური

მანდატურის სამსახურს აქვს ძალადობის ფაქტის შესწავლის ვალდებულება. მანდატურის სამსახურის ფარგლებში არსებული ფსიქოლოგიური სამსახური კი, ვალდებულია, შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ფსიქოლოგიური მომსახურება გაუწიოს მოსწავლეს.

სკოლის სამეურვეო საბჭო

სკოლის დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სკოლის სამეურვეო საბჭოში სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული წესითა და შესაბამის ვადებში.



უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმები სკოლის გარეთ

პოლიცია

პოლიციას აქვს ვალდებულება, ბავშვის მიმართ უკვე განხორციელებული ან მოსალოდნელი ძალადობის შემთხვევაში, იმოქმედოს დაუყოვნებლივ და დაიცვას ბავშვის უფლებები და ინტერესები.

სოციალური მომსახურების სააგენტო

სოციალური მომსახურების სააგენტოს ერთ-ერთი უმთავრესი ვალდებულებაა ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად ზრუნვა. სააგენტოს ეკისრება პასუხისმგებლობა, რომ ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში, შეაგროვოს ინფორმაცია ძალადობის ფაქტის შესახებ და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით.

სასამართლო

ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში, მის მშობლებს ან სხვა კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ ბავშვის უფლების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით მიმართონ სასამართლოს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, არასრულწლოვანს, 14 წლის ასაკიდან, აქვს უფლება, დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

სახალხო დამცველი

მოსწავლის მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში, ნებისმიერ ბავშვს ან მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აქვს უფლება, მიმართოს სახალხო დამცველის აპარატში არსებულ ბავშვის უფლებათა დეპარტამენტს.

იურიდიული დახმარების სამსახური

ბავშვის მიმართ მომხდარი ძალადობის შემთხვევაში, საქმეში შესაძლებელია, ჩაერთოს იურიდიული დახმარების სამსახური. იურიდიული დახმარების სამსახური არის სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც უფასო სამართლებრივ დახმარებას უწევს მოსახლეობას.

გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტი

თავად ბავშვს, ან ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დამცველს, აქვს უფლება, ბავშვის უფლების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტს. თუკი, კომიტეტი ადასტურებს უფლების დარღვევის ფაქტს, ის იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, რომლის აღსრულების პროცესსაც სახელმწიფოს ფარგლებში კომიტეტი უშუალოდ უწევს ზედამხედველობას.

ბავშვის უფლებების მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები

განხორციელებული ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, შესაძლებელია, ბავშვის უფლებების მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა, რომლებიც სამართლებრივ დახმარებას (სამართლებრივი კონსულტაცია, რიგ შემთხვევებში კი - შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა) გაუწევენ მოსწავლეებსა და მშობლებს უფლების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

3. რა არის ბულინგი/ჩაგვრა?

ეს არის ხანგრძლივი ფიზიკური და/ან ფსიქოლოგიური ზეწოლა ბავშვის/ჯგუფის მხრიდან ბავშვზე/ჯგუფზე. ბულინგი მიზანმიმართულია კონკრეტული ბავშვის ან ბავშვების დაშინებისა თუ დაცინვისკენ სხვადასხვა საფუძველზე (ტანსაცმელი, შეზღუდული შესაძლებლობა, ოჯახური მდგომარეობა, განსხვავებული შეხედულებები და სხვა), ბულინგი ასევე მიზანმიმართულია ბავშვის დასამორჩილებლად ან/და მისი ძირითადი ჯგუფიდან გასარიყად.

3.1. ბულინგის სახეები

სიტყვიერი ბულინგი

უხეში გამონათქვამები ან განზრახ დაწერილი უხეში სიტყვები:

-გაღიზიანება;
-მეტსახელების შერქმევა და დაძახება;

-სექსუალური შინაარსის კომენტარები;

-გამოწვევა ძალადობრივი, უხეში კომენტარებით; სიტყვიერი მუქარა.

ფიზიკური ბულინგი

სხვა ადამიანის სხეულის ან საკუთრების დაზიანება:

-დარტყმა, ამორტყმა, ჩქმეტა;

-შეფურთხება;

-თვეხის წამოდება;

-ხელის კვრა;

-სხვისი ნივთების დაუკითხავად აღება, ან გატეხვა/გაფუჭება/ დამალვა;

-ხელით ღირსების შემლახავი უხეში ჟესტების ჩვენება.

სოციალური ბულინგი

სხვისი ღირსებისა და რეპუტაციის შელახვა, ურთიერთობის გაფუჭება:

-განზრახ გარიყვა ჯგუფიდან;

-სხვა ბავშვებისთვის კონკრეტულ ბავშვთან მეგობრობის აკრძალვა;

-ამ ადამიანზე ჭორების გავრცელება;

-მისი საჯაროდ შერცხვენა.

ინტერნეტ-ბულინგი

ბულინგი ინტერნეტ სივრცეში (კიბერბულინგი):

-შევიწროება;

-რეპუტაციის შელახვა;

-სხვის მაგივრად თავის გასაღება;

-შემავიწროებელი და დამაზიანებელი პირადი შინაარსის მესიჯების გაგზავნა, რაც განმეორებით ხორციელდება;

-საერთო საკომუნიკაციო სივრციდან გაძევება;

-არასწორი ინფორმაციის გავრცელება და სხვ.

3.2. რა განსხვავებაა „უწყინარ ხუმრობასა“ და „ბულინგს“ შორის?

უწყინარი ხუმრობა

- შემთხვევა ერთჯერადია;
- მოვლენაც შემთხვევითია და ადრესატიც;
- ზიანი არაა გამიზნული, შემთხვევითია;
- მხარეებს შორის დაძაბულობა აქამდე არ შეინიშნებოდა;
- ორივე მხარე თანაბრადაა ნაწყენი ან გაბრაზებული;
- შემთხვევა არ მომხდარა ძალაუფლების ან კონტროლის მოსაპოვებლად;
- ერთ მხარეს არ უნდა მეორესთვის რამის დამტკიცება;
- მხარე, რომელმაც ზიანი მიაყენა, გულწრფელად წუხს, აქვს პასუხისმგებლობის განცდა;
- მხარე, რომელმაც ზიანი მიაყენა, დგამს ნაბიჯს პრობლემის მოსაგვარებლად.

ბულინგი/ ჩაგვრა

- ინციდენტი განმეორებადია და მისი მონაწილეები არ იცვლებიან (აგრესორი/ადრესატი);
- ზიანის მიყენება წინასწარ განზრახულია;
- მხარეებს შორის, ზოგადად, ურთიერთობა დაძაბულია;
- აგრესორი ჩანს „მშვიდი“, ხოლო ადრესატი ნაწყენია, ან აქვს მძაფრი ემოციური რეაქცია;
- სიტუაციაში წამყვანია ძალაუფლებისა და კონტროლის დემონსტრირება, რაიმეს მიღების ან რაიმეს საჯაროდ დამტკიცების სურვილი;
- აგრესორი ცდილობს ყველაფერი გადააბრალოს სხვას ან თავად ჩაგვრის ობიექტს;
- აგრესორი არ გრძნობს პასუხისმგებლობას მომხდარზე;
- აგრესორი არ მიდის არანაირ კომპრომისზე და არ ცდილობს პრობლემის გადაჭრას, მოგვარებას.

3.3. უთხარი „არა ბულინგს“!

ანტიბულინგური ალგორითმი მოსწავლეებისთვის



უთხარი "არა ბულინგს"!

სკოლის როლი:

- ანონიმური გამოკითხვის ჩატარება მოსწავლეებში ბულინგის შეფასებისთვის;
- საკოორდინაციო ჯგუფის შექმნა და ბულინგის პრევენციის სტარტეგიის/გეგმის შემუშავება;
- სკოლის პერსონალის გადამზადება ბულინგის პრევენციისა და ინტერვენციის საკითხებში;
- სკოლის წესებისა და პოლიტიკის განსაზღვრა ბულინგთან მიმართებაში;
- "ცხელი წერტილების" მონიტორინგი და უსაფრთხოების სხვა სისტემების პროცედურების განსაზღვრა;
- სასწავლო პროგრამების დანერგვა არაძალადობრივი კომუნიკაციის უნარ-ჩვევების დაუფლების მიზნით;
- სადისკუსიო სივრცეებისა და კლუბების შემქნა;
- ბულინგის შემთხვევების კრიზისული ინტერვენციის გეგმის შემუშავება
- კრიზისული ჩარევა ან საგანმანათლებლო მუშაობა ჯგუფის დონეზე (მაგ. კლასის);
- ინდივიდუალური მუშაობა ბულინგში ჩართულ მხარეებთან;
- ბულინგის პრევენციის პროცესში მ შობლებისა და სხვა სპეციალისტების ჩართულობის ხელშეწყობა;
- საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება და ბუკლეტების შექმნა თანამშრომლებისა და მშობლებისთვის

უთხარი "არა ბულინგს"!

მშობლების როლი:

- წაახალისოს ბავშვის მიერ სხვა ბავშვებთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება;
- ხელი შეუწყოს ბავშვის კომპეტენციების განვითარებას;
- მიიღოს მონაწილეობა სკოლის წესებისა და პოლიტიკის შემუშავებაში;
- ითანამშრომლოს სკოლასა და სხვა მშობლებთან ბულინგის პრევენციისა და ინტერვენციის პროცესში;
- ჩაერთოს სკოლის საკოორდინაციო ჯგუფის მუშაობაში/დაგეგმილ ღონისძიებებში ბულინგის პრევენციის მიზნით.

მნიშვნელოვანი უწყებების საკონტაქტო მონაცემები:

- სოციალური მომსახურეობის სააგენტო - ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144; ცხელი ხაზი - 1505; ელ-ფოსტა: info@ssa.gov.ge;

- საქართველოს სახალხო დამცველი - ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150; ცხელი ხაზი - 1481; ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge;

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომერი -112; გენერალური ინსპექცია - 126; ერთიანი მომსახურების ცენტრი - 2 41 42 42;

- არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ - ქ. თბილისი, მ. ალექსიძის N1, კორპ. 2, ბინა N26, ტელ.: +995 (032) 233 13 56, ელ-ფოსტა: phr.georgia@gmail.com;

- თბილისის იურიდიული დახმარების სამსახური - 1. ქ. თბილისი; დავით აღმაშენებლის გამზირი N140ა, ტელ.: +995 (32) 293 20 90; +995 (32) 2988493; ელ-ფოსტა: info@legalaid.ge;

- აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო - ქ. ბათუმი, პუშკინის N145; ტელ.: +995 (595) 901701; ელ-ფოსტა: izandaradze@legalaid.ge;

- ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი - ქ. ოზურგეთი; კოსტავას N1, პირველი სართული; ტელ.: +995 (496) 27 59 92; imemarniashvili@legalaid.ge;

- კახეთის- თელავის იურიდიული დახმარების ბიურო - ქ. თელავი, ვარდოშვილის N7; ტელ.: +995 (350) 271538; itchuniashvili@legalaid.ge;

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის N52; სამინისტროს ცხელი ხაზი: (995 32) 2 200 220; შიდა აუდიტის დეპარტამენტის ცხელი ხაზი: (+995 32) 220 02 20. ელ. ფოსტა: pr@mes.gov.ge;

- არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი“; ქ. თბილისი; ედ. მაღალაშვილის 4, ბინა 1; ბავშვთა დახმარების ხაზი - 116 111; www.phf.org.ge;

- „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი”; ქ. თბილისი, თამარაშვილის 15ა, ცხელი ხაზი -116006; ელ. ფოსტა: www.atipfung.gov.ge;

- საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრი; ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N1; ცხელი ხაზი - (+995 32) 2 200 220 (3335).

- ბავშვის უფლებათა კომიტეტი (CRC); ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR) – UNOG-OHCHR; CH-1211 Geneva 10 (Switzerland); ტელ.: +41 22 917 91 41; ფაქსი: +41 22 917 90 08; ელ.ფოსტა: crc@ohchr.org;

IX-XII კლასელების 19% , მსოფლიო მასშტაბით, სასკოლო ბულინგის მსხვერპლი გახდა ბოლო 12 თვის განმავლობაში(2017წ.)

მშობლებისა და მასწავლებლების საყურადღებოდ!

მოახდინეთ ბულინგის პრევენცია და შემთხვევის დროული ინტერვენცია!

ბულინგის მსხვერპლის ძირითადი მახასიათებლები

- თვითშეფასების დაქვეითება:
  - თავდაჯერებულობის დაკარგვა;
  - თვითკირიტიკა ან უარყოფა;
  - უნებლიე შარდვა (ენურეზი);
  - იზოლაცია;
- შფოთვა, სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში უსაფრთხოების განცდის არარსებობა;
- თვითმკვლელობაზე ფიქრი;
- დასწავლილი უმწეობა; „მსხვერპლის“, „დამარცხებულის“ როლის მორგება;
- ყურადღების გაფანტვა, მეხსიერების გაუარესება;
- დასწავლილი აგრესიული ქცევა.

სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში 2017წ	
მოსწავლეები ხშირად მიმართავენ შემდგომ ძალადობრივ ქმედებებს	
დამამცირებელი მეტსახელებით მიმართვა	34.1%
უხეში კომენტარების გაკეთება	28.6%
დაცინვა	27.8%
გართობის მიზნით პირადი ნივთების დამალვა	38.5%
ხელის/წიხლის ჩარტყმა	20.8%
ძალით შეჯახება	19.9%

ბულინგის შემთხვევებზე მუშაობა → ბულინგის პრევენცია

ბულინგის შემთხვევებზე მუშაობა → ბულინგის შემთხვევების ინტერვენცია

მშობლების საყურადღებოდ!

ბულინგის ნიშნების ამოსაცნობად ყურადღება გაამახვილეთ შემდეგზე:

- ☐ ბავშვის კუთვნილი საგნები იკარგება ან დაზიანებულია?
- ☐ ამჩნევთ ბავშვს ფიზიკურ დაზიანებებს , რომელსაც არანაირი ახსნა არ აქვს?
- ☐ ეტყობა ბავშვს რომ სკოლაში წასვლის ეშინია, „ავად ხდება“ ყოველ დილას, აცდენს გაკვეთილებს?
- ☐ არც ისე კარგია მისი აკადემიური მოსწრება სკოლაში?
- ☐ ბავშვი ფულს გთხოვთ ან შეამჩნიეთ რომ იპარავს? (სავარაუდოდ, იმ მიზნით, რომ გამომძალველს მისცეს;)
- ☐ ბავშვი განერვიულებულია, თავდაჯერებულობას კარგავს, ან ზედმეტად ავლენს სტრესის ნიშნებს?
- ☐ აქვს ბავშვს კვებასთან და ძილთან დაკავშირებული პრობლემები?
- ☐ სხვებს ჩაგრავს?

რეაგირება ბულინგზე:

1. შეეცადეთ მოიპოვოთ ინფორმაცია ბავშვისგან;
2. მიაწოდეთ ინფორმაცია სკოლის პერსონალს;
3. ერთობლივად დაგეგმეთ ინტერვენცია;
4. საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ სპეციალისტს (ფსიქოლოგს).

როგორ მოვახდინოთ ბულინგის პრევენცია? რეკომენდაციები მშობლებისთვის!

- დროულად გაამახვილეთ ყურადღება მოზარდების აგრესიულ ქცევაზე !
  - ✓ მხარი დაუჭირეთ ისეთი უნარ -ჩვევების ჩანერგვას, როგორიცაა თანაგანცდა, სხვისი დახმარება და ა.შ.
- აჩვენეთ სითბო და იყავით მხარდამჭერი!
  - ✓ თქვენი მზრუნველობა და ჩართულობა, შვილთან კომუნიკაცია, ამცირებს ბულინგის არსებობის შესაძლებლობას.
- ისწავლეთ მეტი ბულინგზე და დაანგრიე მითები მისი ბუნების შესახებ!
- ესაუბრეთ ბავშვს ბულინგზე!
- იყავით როლური მოდელი თქვენი შვილისთვის!
  - ✓ ოჯახური კონფლიქტები, ოჯახური ძალადობა და ბავშვზე ძალადობა დაკავშირებულია ბავშვის მხრიდან სხვების ჩაგვრის, ან სხვების მხრიდან მისი ჩაგვრის მაღალ ალბათობასთან.
- ჩამოაყალიბეთ მკაფიო წესები, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოეპყრონ ბავშვები სხვებს!
- ხელი შეუწყვეთ ბავშვის კომპეტენციებისა და უნარების განვითარებას!
- განასხვავეთ ერთმანეთისგან ბულინგი და „უწყინარი ხუმრობა“!
- იყავით ყურადღებით ინტერნეტ-ბულინგის საფრთხესთან მიმართებაში!
  - ✓ ჩამოაყალიბეთ მკაფიო წესები ინტერნეტ-ინტერაქციასთან დაკავშირებით!
- ბულინგი სკოლის კართან არ მთავრდება!
  - ✓ მნიშვნელოვანია ითანამშრომლოთ სხვა ოჯახებთან და დაინტერესებულ მხარეებთან , რომ ხელი შეუწყოთ ბულინგის დაძლევისკენ მიმართული ღონისძიებების გაუმჯობესებას.

მასწავლებლების საყურადღებოდ!

რეკომენდაციები ბულინგის ინტერვენციის დაგეგმვისათვის

1. მოახდინეთ ბულინგის ფაქტის დროული იდენტიფიცირება, სწორედ ამოიცანით ბულინგი და განასხვავეთ იგი „უწყინარი ხუმრობისა“, თუ ბავშვთა შორის უთანხმოებისაგან;
2. დაუშვებელია იდენტიფიცირებული ბულინგის ფაქტის იგნორირება/უყურადღებოდ დატოვება (ბულინგი თავისით არ გვარდება);
3. მოახდინეთ ბულინგის კრიზისული ინტერვენცია:
   - შეაჩერეთ ინციდენტი - დააშორე ერთმანეთს აგრესორი და ბულინგის სამიზნე.
   - დარწმუნდით, რომ ყველა უსაფრთხოდაა: შეატყობინე სკოლის ადმინისტრაციას/მანდატურს; თუკი არსებობს ძალადობის ნიშნები, შეატყობინეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს.
   - არ მოადუნო სიფხიზლე, განაცალკევე ბულინგის მხარეები, მიიღე მათგან შესაბამისი ინფორმაცია და მიაწოდე თითოეულ მათგანს სწორი მესიჯები;
   - ფაქტის შესახებ შეატყობინეთ სკოლის ადმინისტრაციას ან/და მანდატურს/ საკოორდინაციო ჯგუფს (საჭიროების შემთხვევაში ბულინგის სამიზნისა და აგრესორის მშობელს).
4. უნდა მოხდეს ბულინგის თითოეული შემთხვევის მკაფიო გაანალიზება და შესაბამისი სამოქმედო გეგმის განსაზღვრა:
   - ბულინგის შემთხვევებზე მომუშავე პირებმა უნდა მოახდინონ შემთხვევის სიღრმისეული გამოკვლევა/ანალიზი;

- განსაზღვრონ რა სახის სამუშაოა ჩასატარებელი აგრესორთან, ბულინგის სამიზნესთან და შემთხვევის სხვა მონაწილეებთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

- უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
- ანტი-ბულინგური პროგრამა, პრაქტიკული სახელმძღვანელო ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკებისა და ბავშვზე ზრუნვის სფეროში მომუშავე სპეციალისტებისთვის; მაია ცირამუა, ელენე ქორიძე; ასოციაცია „საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი“, 2018წ.
- School Crime Supplement, National Center for Education Statistics and Bureau of Justice Statistics, 2015
- Youth Risk Behavior Surveillance System, Center for Disease Control and Prevention, 2017
- http://phf.org.ge/ka/resources/maswavleblis-roli-bulingis-problemis-gadachrashi/

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | GEORGIA

EAST·WEST MANAGEMENT INSTITUTE

საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ასოციაციის ეფექტიანი ინფორმაციული ადვოკატირებისა

PHR

საქმიანობის ინფორმაციული ადვოკატირებისა
და მოქალაქეების ჩართულობის პროექტი

ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY
FOR SUSTAINABILITY (ACCESS)